№ 48
მარტის 1, შაბათი 1903 წ.

1877

ივერია

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 48
მარტის 1, შაბათი 1903 წ.

1903

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

პირველ მარტიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთი და 75 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ დაწერილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი. 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის სახაფხულო სამოფლის გვერდით

საუკეთესო საადგარაკო ადგილები,

შემკული კარგის ჰავითა, ტყითა და წყაროებით. სასეირნოდ დატოვებულია ოზრდილი ადგილი ტყისა. სივრცე თითოეულს აგარაკისა 133—473 ჩორსო საჟენი. უმთავრესი ქუჩა ათ საჟენიანი. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში 10—3 საათამდე (სასახლის ქუჩა. თავად-აზნაურობის ქარავასლა). (25—6)

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა

და სხვა სასულიერო საოსანელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანაძისა, № 12, ალექსანდრეს ბიდის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

პირითადი თანხა	**1.650.000 მან.**
სათადარიგო თანხა	**2.664,808 მან.**

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ეგრეთვედ რუსეთს ყველა უმთავრეს ადგილს, კავკასიაში, შუა სიაში, სიბერიში და შორეულ აღმოსავლეთად, ბერეგი წარმოადგენელი ჰქონს უმთავრეს ქალაქებში სიზღვარ-კიდეზ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და კიდეზიდან ეოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიდებას და ჩაბარებას სახლში, საწყობისა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნაშნულ პირობით (ფასი-დადებით კომპანიის ხარჯ'ზედ, ფეოდის კიდეზეს დეკშით საქონლის კიდეზეზეთაგან იქ, ს

გადოების, კავკასიის განყოფილების წევრთა კრება, რომელზედაც სამთო ინჟინერი, ნამდვილი წევრი განყოფილებისა, ბ-ნი შოსტაკი წაიკითხავს სვანეთის და რაჭის მიმოხილვას მოგზაურობის დროს; მასთანავე ბ-ნი შოსტაკი აჩვენებს დამსწრეთ ბუნდოვან სურათებს ამ ადგილებისას; მსურველთ უფასოთ შეუძლიანთ დეესწრონ.

✦ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია 16 მარტიდგან დაიწყებს საქმების გარჩევას ქ. ახალქალაქში.

ეს-ვე სესია 21 მარტს ახალციხეში დაიწყებს გარჩევას საქმეებისას.

✦ ამას წინად სამკურნალო გამგეობამ საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბროძელი გაგზავნა გორის მაზრის დასათვალიერებლად, სადაც ყვავილი იყო გავრცელებული მცხოვრებთა შორის. ექიმს დაუვლია სოფლები: რუისი, ტრიანი და სხვ., მიუღია ღონისძიებანი ავადმყოფობის წინაამდეგ და ამ ჟამად ყვავილი მოსპობილა კიდეც. ბროძელის აზრით, ყვავილი ჩქარა განმეორდება, თუ სავალდებულოდ არ გახდა სოფლებში აცრა. ბროძელი იმასაც დასძენს, მცხოვრებთ უფასოდ უნდა აეცრათო.

✦ როგორც შევიტყეთ, ს. ავლევსა (გორის მაზრა) და მის მახლობლად მდებარე სოფლებში სახადი გაჩენილა. ექიმებს უთქვამთ, ავადმყოფობა შედეგია იმისი, რომ სოფლელნი ცუდად სვამენ და ჭამენ, არ უნთიათ ცეცხლი, რომ გათბენ და ამასთანავე აუტანელი ზამთარი არისო. ამ გარემოებაში არამც თუ არ მოისპობა ავადმყოფობა, პირქით, გაძლიერდება და ყველა სოფლებში გაჩნდებაო.

✦ როგორც ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, ქალაქის სულით-ავადმყოფთა თავ-შესაფარში 50 კაცი ყოფილა და ყველა საწოლები დაჭერილი ჰქონიათ.

✦ 22 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია საქმე ერევნის მიძინების ეკკლესიის მღვდლის ლ. ტურიაშვილისა. მამა ტურიაშვილი პასუხის გებაშია მიცემული იმის გამო, რომ ჯვარი დაუწერნია ან. ვორობცოვისათვის, რომელსაც სხვა ქმარი ჰყოლია.

✦ 18 მარტს ქ. გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია განიხილავს საქმეს მიხეილ ფავლენიშვილისას, რომელსაც ბრალდება გულმოსულობის დროს გლეხ ყარამან კაპანაძის მოკვლა.

✦ ტფილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარე თავად-აზნაურთა საზოგადოების კანცელარია გვთხოვს დავბეჭდოთ, რომ საზოგადოების გამგე კომიტეტმა მიიღო ბ-ნ სტეფანე და იაკობ კონსტანტინეს ძეთა ზუბალაშვილთაგან სათავად-აზნაურო სკოლის შენობის სასარგებლოდ შემოწირული ოც და ათი ათასი მანეთიო. ამის გამო გამგე კომიტეტს დაუდგენია მადლობის წერილი გაეგზავნოთ შემომწირველთ და თავის დროზე მოხსენდეს ეს ამბავი საზოგადო კრებას.

✦ ტფილისის გამგეობამ დაიქირავა 18 კაცი, წყალში მოცურავი, რომელთაც დეევალოთ წყლის ადიდების დროს თვალ-ყური ადევნონ და დახმარება აღმოუჩინონ ყველა გაჭირებულს; დღე და-ღამ ამ 18 კაცს სანამ წყალი ჩამოწყდებოდეს, მიეცემათ სამ-სამი მანეთ თითოს.

✦ ხარკოვის რუსულ მექანიკურ ქარხნის წარმომადგენელმა მიმართა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და აუწყა, რომ ყოველ შეღავათ აღმოგიჩენთ და ფასშიაც დაგიკლებთ, თუ შეიძენთ ჩვენ ქარხანაში გაკეთებულს სეტყვის დამფანტავ ზარბაზანსაო; მასთანავე ჩვენ ქარხანაში მომზადებული ზარბაზანი არ ჩამოუვარდება სიმაგრით სამზღვარ-გარეთისასა და არც შემოტანის ფასი გარდაგხდებათო; მასთანავე თუ საზოგადოება იკისრებს გაავრცელოს ჩვენი ზარბაზნები მევენახეთა შორის, მაშინ ქარხნის გამგეობას შეუძლიან დროებით უფულოდაც დაუთმოს ზარბაზნებიო.

✦ ამიერ-კავკასიის სააქციზო მმართველობის გამგეს 1405 მანეთი ამოუღია ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა ყუთებიდგან, რომლებშიაც გროვდება ფული კავკასიის განყოფილების იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულის ბრმათა სამზრუნველოს სასარგებლოდ და კიდეც გადაუცია დანიშნულებისამებრ. სამზრუნველო მადლობას სწირავს ყველას, ვინც თავისი წვლილი შესწირა.

✦ 27-ს თებერვალს „კრუჟოკის“ დარბაზში მოყვარულთა გუნდმა წარმოადგინა ქალბ. სმირნოვის პიესა „მეცხრე ტალღა“ (Девятый валъ), თუმცა ცუდი დარი იყო, მაგრამ წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო და ყოველმა დამსწრემ დიდათაც ისიამოვნა, რადგანაც მთელი გუნდი ჩინებულათ თამაშობს.

საკვირველია, ღმერთმანი, რატომ ამისთანა მდიდარს კლუბს, როგორც „კრუჟოკია“, აქნობამდე მუდმივი გუნდი არა ჰყავს არტისტებისა. ამბობდნენ, მოყვარულთა შორის ვერ შესდგება მუდმივი გუნდიო; მაგრამ გუშინდელმა და ბევრმა წინანდელმა წარმოდგენებმა „კრუჟოკში“ აშკარად დავვარწმუნა, რომ მოყვარულთა შორის მოიპოვება ძალიან ბევრი დახელოვნებული არტისტი; მაშასადამე, დამნაშავეთ უნდა მივიჩნიოთ კლუბის გამგეობა, რომელიც არა ფიქრობს თვისის საზოგადოების წევრთა სიამოვნებისა და სარგებლობისათვის.

როცა კრუჟოკში გარეშე გუნდი თამაშობს, ბილეთის ფასი 50 კაპ. 3 მანეთამდე ადის და კრუჟოკს რომ თავისი მოთამაშეთა გუნდი ჰყავნდეს, ბილეთები ეღირება 15 კაპ. ერთ მანეთამდე. სასურველია, რომ კრუჟოკის გამგეობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და წევრთა საერთო სურვილი აღასრულოს.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი რუსული წიგნი „დასახლება სომეხთა სამხრეთ-დასავლეთს რუსეთში“—**Колонизація армянъ въ юго-западной Россіи.** წიგნი შეუდგენია ეპისკოპოსს კირიონს და პირველად დაუბეჭდია პოდოლსკის საეპარქიო უწყებაში.

✦ ამ ორიოდე წლის წინად განისვენა წიალთა შინა ჩვენის დაუდევრობისაგან სავაჭრო-საამხანაგო მაღაზიამ „შუამავალმა“. ამ ხანაგებს შეტანილი ჰქონდათ სავაჭრო თანხის შესადგენად საწევრო ფული. ეს მაღაზია გაუქმდა და საწევრო ფულის შემტანთ-კი არაფერს ეუბნებიან. რა იქნა ის თანხა და ნუ-თუ არაფრით არ უნდა დაკმაყოფილდნენ პაის პატრონები? სასურველია, რომ ამ საქმეს გამოარკვევდნენ ისინი, ვინც ახლო უდგა მაღაზიას და იცის მისის გაუქმების ამბავი.

ჩვენებური ამბები

თიანეთი. ჩვენკენ წელს მეტის მეტი სასტიკი ზამთარია. თებერვლის პირველ რიცხვიდგან გამუდმებით მოდის თოვლი და ქარბუქი დგას; თოვლი ზოგან ორ სამ არშინზედ დასდო; თოვლს ვინღა ჩიოდა, რომ ქარბუქი არ დაეწყო; ყოველ დღე და ღამ საშინელი ყინვებია; ასეთმა სუსხიანმა ზამთარმა ძალიან შეაშინა აქაური გლეხები. საქონლის საკვები თიანელებს ამ ერთი თვის წინად გამოელიათ, ძალიან იშვიათად იქნება იმისთანა მეკომური, რომ საქონლის საჭმელი არ აკლდეს, რის გამოც ბევრმა თავისი საქონელი ერწოში (25—30 ვერსის სიშორეზე) წაასხა გამოსაკვებად. აქაურ ხნიერ კაცებს ჯერ არ ახსოვთ, რომ საქონლის ამისთანა საჭმლის უქონლობა და თებერვლის ბოლო რიცხვებში ასეთი მკაცრი ზამთარი ყოფილიყოს.

თიანეთში არსებობს ბიბლიოთეკა, მაგრამ ვაი იმ არსებობას! როგორც მოგეხსენებათ, მარტო ის არა კმარა, რომ ბიბლიოთეკა არსებობს და უფასოდ ყველას შეუძლიან წიგნების გატანა და წაკითხვა. სამკითხველოში რომ ქუდი ვისმე შეუგდოთ, მაშინაც არ შევლენ. ერთხელა და ერთხელ რიგზედ დაწყობილი წიგნები აწყვია გაუნძრევლად. მხოლოდ ზოგჯერ ბიბლიოთეკარი თუ გამოამზევებს, რომ ან ობი არ მოეკიდოს, ან თაგვებმა არ დასჭრან. თუ ვისმე დასჭირდა და სამკითხველოდგან რომელიმე წიგნი გაიტანა, აღარც დააბრუნებს, თუნდ გზირებიც მიურეკოს ბიბლიოთეკარმა წიგნის წამღებს.

ამ თვის 5-ში კრება იყო დანიშნული ახალი ბიბლიოთეკრის და მის თანაშემწის ამოსარჩევად. ბიბლიოთეკრად ამოირჩიეს ბ. ი. ჩიბალაშვილი და მის თანაშემწედ ბ. ა. ცისკარაშვილი. ყველას მოეხსენება, რომ ბიბლიოთეკარს ვალად აქვს აუხსნას გლეხებს წიგნების კითხვის სარგებლობა, მაგრამ ახლად ამორჩეულ ბიბლიოთეკარს აფთიაქი აბარია, რომელიც კარგად მოშორებით არის ბიბლიოთეკაზედ, მისი თანაშემწე წიგნების დარიგებას და ბიბლიოთეკის ყურის გდებას არ იკისრებს და არც დრო აქვს. რა თქმა უნდა, ბიბლიოთეკის ასეთი მდგომარეობა თიანელების მეტის-მეტ ბეჯითობას უნდა მივაწეროთ.

თიანეთში თანდათან კლებულობს ცრუმორწმუნეობა, მკითხავები-კი ისევა სწამთ. თიანეთის საზოგადოებაში სამი მკითხავი დედაკაცია: ახალსოფელში, გოჯიაანთსოფელში და ჰურქელაურებში. ამ სტრიქონების დამწერს ბევრჯელ მინახავს თიანელი და აგრეთვე გარეშე სოფლის დედაკაცები, რომ მკითხავთან მიდენილან და თან მიჰქონებიათ ფქვილი, ერბო, ყველი, კვერცხები, წინდები და სხ. ყოველი ამ ნაირი ცრუ-მორწმუნეობის და უვიცობის გამრავლების მიზეზი ის არის, რომ ხალხი ისევ გაუნათლებელია და ხალხში წიგნების კითხვის სურვილი არ არის გავრცელებული.

დათიკო გოჯიაშვილი.

ქიზიყი. „ივერიის“ ამ წლის მე-19 ნომერში ბ-ნი მოამბე სწერს ქიზიყის შესახებ, რომ ქიზიყის ასი ათას მცხოვრებლებს დაპატრონებიან სოფლის-ჭამია ნადირებიო, რომელთა ჯოგი შესდგება სოფლისავე სხვა-და-სხვა ტეტია მოხელეებისაგან, ნამოხელარებისაგან, „ნაპისრალებისაგან“, ნაჩაფრალებისაგან, ნაყაჩაღარებისაგან, ნატუსაღარებისაგან, ქალაქებში გაკანტოებულებისაგან, მიკიტანჩარჩებისაგან, გოგოლისდ დერჟიმორდებისაგან, ხარისხოვან მოვახშეებისაგან, ოჩოპენტრემწიგნობრებისაგან და მრავალ სხვა თავზედ ხელ-აღებულ საციმბირო-სათოკეებისაგანაო, რომელნიც არავითარ ბოროტებას და ავაზაკობას არ ერიდებიან ხალხის დასაღუპავად „უინტელიგენციო ქიზიყშიო“.

ეს ქიზიყში „სოფლის ჭამია ნადირთა“ შესევა მართალი გახლავთ და ძლიერ მკრთალად არის კიდევ გამოხატული. ძნელი ასაწერია ის, რაც ქიზიყში ხდება და, მგონი, თუ კაცმა თვითონ არ ნახა, ვერც ვინ დაიჯერებს აქაურ ამბებს.—საარაკო ამბები მარტო ქიზიყში ხდება. ვისაც სურს ქიზიყის უბედურება გაიგოს, თვითონ დაიაროს აქაური სოფლები და საიდუმლოთ გამოიკითხოს ყველაფერი. უცხო კაცს ქიზიყის უბედურების გაგება მარტო საიდუმლო გამოკითხვით შეუძლიან.

იფიქრებს კაცი, მთელი მხრის შესახები ბოროტება ეგრე როგორ დაიმალებაო? განა მართლა დამალულია და ხალხმა არ იცის? არა, ყველამ იცის, თქმა-კი ვერავის გაუბედნია. მაგ., გლეხ-კაცს მოჰპარეს ძროხა, იცის თვისი დამღუპველნი, მაგრამ ეს ამბავი მოხელისათვისაც ვერ გამოუცხადებია. იცის, რომ ამ გამოცხადებისათვის მასვე დასჯიან,—იქნება მოხელემ გომშიაც ჩააგდოს. ამას გარდა, დღეს თუ ძროხა მოჰპარეს, ხვალ ცხენსაც წაართმევენ. იჩივლებს?—რა გამოვა, განა ეღირსება სამართალს, განა არ იცის, როგორა აქვთ პლანები დაწყობილი ქურდებსა და სოფლის მოხელეებს!.. განა არ იცის, რომ სამართლის გადამწყვეტი ზემოხსენებული „ნადირთა ჯოგია“!..

იფიქრებს კაცი: ეს არ შეიძლება, რატომ არ ჩივიანო? ამაზედ აი, რას გიპასუხებთ გლეხი: „როგორ არ ვიჩივლეთ, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია. ისე იძიებდნენ საჩივრებს, არც მოჩივარს ატყობინებდნენ, არც მოწმეებს. ვინც კანონის დასაცველად არის დაყენებული, თვით უკანონობას სჩადის. ჩვენ ხომ ადვოკატები არა ვართ, სულ ამ საქმეს ვსდიოთ. თუ თითო ოროლა კაცი საქმეს გამოეკიდა, ეს „ნადირთა ჯოგი“ იმასაც ამხანაგად გაიხდის. განა დასაჯერებელია, რომ ერთი სოფელი ორ ქურდს წელიწადში 600 მან. აძლევს, ოღონდ ნუღარას მოგვპარავთო?!. განა დასაჯერებელია, რომ ერთ სოფელში ამ „ნადირთა შაიკამ“ მღვდელს შეუთვალა, ხალხს ნურას ასწავლი, თორემ ასეთ ხრიკს მოგდებთ, საციმბიროთ გაგამზადონო?.. განა დასაჯერებელია სოფელში ერთი სოფლელი მეორეს აშკარად, ყაჩაღურად ცარცვავდეს? ახ, ერთი პატრონი!.. რამდენ ჯამაგირიან კაცს აქვს დავალებული ჩვენი პატრონობა და უპატრონოთ-კი ვართ გაშვებული!.. და ყველა ამას ზედ დაუმატებს: „არ გამცე, საიდუმლოთ გელაპარაკები. რომ გამიგონ, ცოლ-შვილიანად გადამბუგავენო“.

ყველა ეს იმას ნიშნავს, რომ ქიზიყს საქმე გასჭირვებია სოფლის ჭამია ნადირებისაგან, ხალხს კარგად ესმის თავის საქმე და თავის პატრონობას დროებით ვერ ახერხებს, აკლია მოთავე. ასეთ მოთავედ, ჩემის ფიქრით, ინტელიგენცია უნდა იყოს, რომელი ინტელიგენციაც, ვითომ არ არის ქიზიყში, მოამბის სიტყვით ამაში ვერ ვეთანხმები ქიზიყელ კორრესპონდენტს, მოამბეს. ინტელიგენტები ბევრნი არიან ქიზიყში, მარტო მღვდლები იკმარებდნენ ინტელიგენტებათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ქიზიყის ინტელიგენტები რაღაცას ელიან, რაღაცის ეშინიანთ. ეშინიანთ იმისთვის, რომ თავის დროზედ არ შეასრულეს თავის ინტელიგენტური მოვალეობა, და ამ ხანში მძრავი „ნადირთა გუნდი“ ისე გაღონიერდა, რომ ეხლა სათითაოდ ყველა ინტლიგენტს დაუქნევს თითს,—შესდექ, თორემ ძალა ჩვენკენ არისო!

მაგრამ ამით არ უნდა შევშინდეთ ქიზიყის ინტლიგენტები. ერთს თუ შეაშინებენ, ყველას ერთად ვერას უზამენ. ჩვენც შევერთდეთ, დაივიწყოთ ძველი ერთმანეთში უსიამოვნება, ჩვენი პირადი თავმოყვარეობა ვანაცვალოთ ხალხის ინტერესებს. ნუ დავაჩაგვრინებთ ხალხს საზიზღარ „სოფლის ჭამია ნადირთა ჯოგს“. ჩვენსკენ არის სიმართლე, კანონი, უმაღლესი მთავრობა და ყველა პატიოსანი კაცი. ჩვენი მოვალეობაა ხალხს მოთავეობა გაუწიოთ, დავეხმაროთ და ავაცდინოთ ამ სოფლის-ჭამია ნადირთა გუნდის უკანონობა. სირცხვილია ჩვენთვის, გულ-გრილათ ვუყუროთ ამდენ ხალხის დამცირებას, უსამართლობას, პატიოსნების გათელვას და საზიზღარ უსინეობას სოფლის-ჭამია ნადირთა ჯოგისას!..

ქიზიყის ინტელიგენტთაგანი.

ფასანაური (დუშეთის მაზრა) აგერა ცამეტი წელიწადია, რაც ფასანაურში არსებობს საეკლესიო სკოლა და მასთან ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საიდგანაც ხალხი მუდმივ სარგებლობდა წიგნებით. ამ წარსულს 1902 წლამდის, როგორათაც სკოლა, აგრეთვე ბიბლიოთეკა იყო მიყრუებული და ყურადღებას არავინ აქცევდა. წარსულ წელს იქმნა შეგროვილი, როგორათაც ფასანაურის მცხოვრებთა შორის, აგრეთვე სამხედრო გზით მიმავალ-მომავალ ხალხთა შორის 130 მანეთი. ამ ფულიდგან იქმნა ნაყიდი „ვოლშებნი ფანარი“ სურათებით და დანარჩენი ფულით იქმნა შეძენილი

ფელეტონი

ცოტა რამ უბედურობის ზღვიდგან.

(ამბავი)

დილა ადრიან მისულიყო იორდანე ოდიაშვილი თ—ს „პრისუტსტვიაში“ თავის შვილით ბესათი. დღეს გარდასწყდებოდა მისი ბედი: დღეს უნდა ამოეღო ყველას სალდათობის კენჭი და, სხვათა შორის, მის ბესასაც.

აგერ ხალხი ნელ-ნელა შეიყარა. ყველა ლაპარაკში იყო გართული. ბებერ და ქვრივ დედაკაცების წუწუნი, ბერი კაცების ჩივილი ყველა ფეხის გადადგმაზედ ისმოდა. იორდანე, გაჩუმებული და დაღონებული, ხან ერთ ხალხის გროვასთან მივიდოდა და ხან მეორესთან. არავინ ჰყვანდა გულის გამმაგრებელი, რადგანაც თვითოეულს თავისი დარდი აწუხებდა და ამ საერთო წუხილში მისი იარაც თანდათან უფრო მწვავდებოდა. წინასწარ გრძნობა კარგს არას უქადიდა იორდანეს. უკანასკნელი იმედი დაეკარგებოდა, თუ იმის შვილს სალდათში წაიყვანდნენ. უფროსი შვილი სადღაც კავკავისკენ ჰყვანდა გადაკარგული და ღედ-მამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, ერთად ერთის ბესათი-ღა აღონიალებდა ოჯახს.

აი, დაუძახეს ხალხს და „პრისუტსტვიაში“ შერეკეს ყველანი. იორდანე გაფაციცებით მოელოდა იმ დროს, როცა იმის შვილზედ მიდგებოდა ჯერი. გულში არ ეპიტნავა, რომ იმის სოფლელებს ცოტას შეხვდათ კენჭი და ერთიან წელ-მოწყვეტილი გამობრუნდა გარიდ, როცა იმის შვილსაც ერგო სალდათობა და სამსახურის ასასრულებლად უნდა წასულიყო ერთ ერთ შორეულს რუსეთის ქალაქში. რომელმაც აი, ათი წელიწადია, გაბა იორდანე თავის ქვეყანში, უემეროთოდ სწუნნის მათ, მაგრამ არ იქნა,—ვერ აუვიდნენ მის ვალებს. თუ ბესას შემწეობით სარგებელს მაინც იხდიდნენ და ამით ცოტათი მაინც აკმაყოფილებდნენ პირ დაღებულს და შეუბრალებელს ორ ფეხა ჰგელს, ახლა ეს იმედიც ეკარგებოდათ და, ვინ იცის იქნება, გეგენამ ისევე გაატიალოს და დააცაალიეროს მათი ოჯახიც, როგორც მიწასთან გაასწორა ზოგიერთები. იგონებდა აგრეთვე მომავალ ხარჯებს.

II

პეტრე-პავლობა დღე იყო სოფ. ვ—ს გლეხები დუქანთან შეგროვილიყვნენ და თავის დარდსა და ვარამს ერთმანეთს უზიარებდნენ. ყველას საერთოდ შრომისაგან დაღლილობა ეტყობოდათ სახეზედ.

— ეჰ, დასწყევლოს ღმერთმა ჩვენი გაჩენის დღე!—წაილაპარაკა ერთმა გლეხმა.—ტანჯვისთვინა ვართ გაჩენილები, ტანჯვისთვის! მგონი ჩვენს გაჩენაში ღმერთი არ უნდა ერიოს.

ამ სიტყვებმა მიიქციეს სხვა გლეხების ყურადღება, რომელთაც ისე შეხედეს ამ გლეხს, თითქო ეუბნებოდნენ,—ჰო, ჩვენც ეგ უნდა გვეთქო, ჩვენც ეგ გვიდევს გულში და ეგა გვტანჯავსო.

— ეჰ, სად არის სამართალი, სად?—წამოიძახა მეორე გლეხმა.—არა გჯერათ, კაცო, თითქმის ღამე არა მძინავს: ი რაღაცა ორიოდე დღის ყანა მიგდია, იმას ვალევ ჩემს ჯანსა და ღონეს. ნეტავი მერგოს მაინც რამე! ჯერ ციწის ღალა ნასამეძი მიეცი პატრონს, ახლა ღვდელ-დიაკვანს, ახლა მეველებს, ახლა გაისტუმრე ვალი, ვახში, ფოშტის ფული.. ერთი წისქვილში წასაღები ჯერიც არა მრჩება. ეჰ, გაჭირდა ცხოვრება, გაჭირდა! არ ვიცი საით უნდა გადავცვივდეთ!..

— ნეტა, ე ოხერი ვენახებიდგან მაინც გამოდიოდეს რამე, კაცო! ჯერ მარცვალი ყვავილიდგან არ გამოსულა და ეხლავე გადაედო ნაცარი. ფოთოლსაც ეხლავე შეეპარა სიყვითლე. ი რაღაც წამლები მოიგონეს, ჰო, მართალია, შველის, მაგრამ სადა მაქვს მე იმის ფულები და ან იმისი დრო, რომ იმასა ვსდიო! ან კიდევ გადურჩება ი სატიალო სეტყვასა, თუ არა? ეჰ, ყველაფერი ჩვენ საუბედუროთ არის გაჩენილი! არ ვიცი რა დაუშავეთ ი დალოცვილს ღმერთს?!—დაუმატა მესამე გლეხმა.

— ეჰ, ყველა იმიტომ მოგვდის, რომ ღმერთი დავივიწყეთ, ხატში აღარ დავდივართ! იგრე გაირყვნა ხალხი, რომ მიკვირს რატო უარეს არ უშვრება ღმერთი.—მიუგო ყველას ერთმა ჭაღარა შერეულმა გლეხმა.

— რატომ ი ჩვენს მყვლეფავებს გეგენას და შაქროს არას უშვრება სინიდისი?.. რამდენი კაცის ცოდო ადევთ კისერზედ, რამდენი ობოლი და ქვრივი აატირეს, რამდენი არის იმათგან გაუბედურებული, მაგრამ ღმერთი და ხალხი იმათ სწყალობს!.. ვერა ხედავთ, კაცო, როგორი სახლები წამოჭიმეს, რა ადგილას დაზარდეს შვილები, რამდენი ფული აქვთ გასესხებული და ხაზინაში, რამდენი მამულები დაინარჩუნეს ულმერთოდ და თავისი შეუბრალებელი ხრიკებით?! გახსოვთ, როგორ დააწიოკა გეგენამ იორდანეს სახლობა და მთლათ გაანადგურა მისი ოჯახი?! ამას ითმენს ღმერთი, ხელს უმართავს, ჩვენ-კი ვიღუპებით და ვიტანჯებით!

— ეჰ, სად არის, ღმერთო, შენი სამართალი?! წარმოსთქვა ცოტა საყვედურის კილოთი მეორე გლეხმა.

— ნუ აჰყვები, შვილო, მაგისთანა უგუნურებას! ჩვენ ღმერს ვერაფერს ვერ ვასწავლით. დაილოცოს მისი სახელი. ჩვენ ვერ მივხვდებით იმის აზრსა და საქმეს. ეს-კი იცოდე, რომ საიქიოს ყველას მოჰკითხავს, იქ გასჯის ყველაფერს სამართლიანად, რადგანაც იქ არის ნამდვილი სამართალი და ვნახავთ, შვილო, გეგენა და მისთანები იქაც ეგრე იპარპაშებენ თუ არა?!.. უსაყვედურა მეორე გლეხს ერთმა მოხუცებულმა გლეხმა, რომელიც საიქიოსი უფრო იყო, ვინემც სააქაოსი.

იქნება კიდევ ბევრი რამ დასაფიქრებელი ეთქვათ გლეხებს, მაგრამ ლაპარაკი შესწყვიტეს, რადგან ნახეს რომ ხალხი შეჩოჩქოლდა, ერთს ალაგას შეიკრიბა და რაღაცაზედ ნაღვლიანის კილოთი ლაპარაკობდნენ. ჩვენი გლეხები ცნობის-მოყვარეობამ გაიტაცა, წამოიშალნენ და ხალხის გროვას მიატანეს.

— რა ამბავია?—მიაძახეს ამათ სხვა გლეხებს, როცა ხალხის გროვას მიუახლოვდნენ.

— რაღა ამბავია, საწყალი ოდიაანთ იორდანეს ბესა სალდათში გარდაცვლილა და აგე, იმის ტანისამოსი ჩაფარმა გადმოიტანა თ-დგან, რუსეთიდგან გამოუგზავნიათ,—მიუგო მათ ნაღვლიანად თვალებში ცრემლ-მორეულმა ახალგაზდა ბიჭმა.

ყველას ენანებოდა გამრჯელი და ახალგაზდა ბესა. გლეხები ცრემლებს ძლივს იმაგრებდნენ. ყველამ თავიანთი ჭირ-ვარამი დროებით დაივიწყა და ამ ახალს დაუთმო ალაგი.

— მე იმას როგორ მოვიფიქრებდი, რომ ბესა ვერ შესძლებდა: როგორც დევი, იგრე დადიოდა,—წამოიძახა ახალგაზდა ბიჭმა.

— ეგ არ არის, კაცო! იმისი ცალი ვაჟკაცი ამ ჩვენ გარშემო სოფლებში არ მოიპოვებოდა. ნეტა გაიგო თუ არა? იკითხა ისევ დაბალ-დაბალმა გლეხმა.

— არა, გზირი გაუგზავნა მამასახლისმა, დაავალა არაფერი ეთქო მისთვის; უნდა ტანისამოსი ჩააბაროს,—უპასუხა იმას ახალგაზდა ბიჭმა.

ამ ლაპარაკში იყვნენ გლეხები, რომ იორდანე და გზირიც გამოჩნდნენ. აი, მოუახლოვდნენ კიდეც ხალხს. იორდანე ჰგრძნობდა, რომ იმის თავზედ რაღაც ცუდი ამბავი უნდა მომხდარიყო. „ხომ არა მიხიფათირა გეგენამ კიდევ რამეო?“—ფიქრობდა თავის გულში. ერთიან გადირია, რომ ყველანი იმას შებრალებით უყურებდნენ. როგორც იყო, აღშფოთებულმა და აღელვებულმა იკითხა, რისთვის მეძახდითო? ვერავინ უბედავდა თქმას და რამდენსამე წამს გაჩუმებულები იყვნენ. ბოლოს მამასახლისმა გაბედა.

— იორდანე! ცუდი ამბავი უნდა შეგატყობინო, მაგრამ რა უყოთ, ჭირს გაძლება უნდა.

— რა ამბავია, კაცო!—ძლივს ამოსთქვა შეშინებულის ხმით იორდანემ.

— ეჰ, მეძნელება, მაგრამ რა გიყო? შენი ბესა სალდათში გადაცვლილა და აი, ტანისამოსი ჩაიბარე...

ჯერ არ გაეთავებინა ეს სიტყვები მამასახლისს, რომ გულ-შემოყრილი იორდანე, სასიკვდილოდ დაჭრილ ირემსავით დაეცა ხალხის წინ... საზარელი სანახავი იყო...

ყველანი მისცვივდნენ მას მოსასულიერებლად.

ამ დროს, როცა ხალხი უგრძნობელ იორდანეს გარს ეხვეოდა, თმა გაწეწილი, ძუძუებ ამოყრილი, თავში ორივე ხელების ცემით მორბოდა დუქნისკენ თებრო, რომლის საზარელი და გულ-მოსაკლავი ტირილი ეფინებოდა უგრძნობელ არე-მარეს...

მიხეილა.

უსაწიროესი წიგნებთაგანი. როგორც ქართულ, აგრეთვე რუსულ ენაზედ. წარსულ კვირა დღეს, 23 თებერვალს ფასანაურის სკოლის შენობაში იქმნა გამართული სადამო, რომელზედაც წაიკითხეს ჯერ ბავშვებისთვის რამდენიმე საინტერესო კარგი ზღაპარი თანა-ჩვენებით სურათების „ვოლშებნი ფანრის“ შემწეობით და შემდეგ ხალხისთვის — რამდენიმე კარგი პატარა წიგნი. კითხვა გაგრძელდა სადამოს 8 საათამდის. ეხლა, მომავალ კვირისთვის, 2 მარტს, წაკითხული იქმნება ადგილობრივი ეკლესიის მღვდლისაგან ილ. ლაშხისაგან ბავშვებისთვის „რობინზონ კრუზო“ და ხალხისთვის „ალექსანდრე მეორე და მისი რეფორმები“; კითხვის დროს „ვოლშებნი ფანრის“ შემწეობით იქნება ნაჩვენები მრავალი სურათები, რომელნიც შეეხებიან ამავე წიგნს.

როგორათაც ზევით მოვიხსენიეთ, სკოლასთან არსებობს სამკითხველო-ბიბლიოთეკა. დღეს ბევრნი დიდი სიამოვნებით მოდიან და მიაქვთ წიგნები საკითხავად ბიბლიოთეკიდგან, რომელიც შეიცავს იმოდენა წიგნებს, რომ ჯერჯერობით აკმაყოფილებს ხალხს. მხოლოდ მოკლებულ არს ჩვენი სამკითხველო-ბიბლიოთეკა, როგორათაც ჟურნალებს, აგრეთვე გაზეთებს.

უმორჩილესად ვთხოვ რედაქციებს თავიანთ მხრივ ღონისძიება აღმოუჩინონ ჩემდამო რწმუნებულ ღარიბ სამკითხველო-ბიბლიოთეკას თავიანთ პატივცემულ გაზეთ-ჟურნალები ჯერჯერობით უფასოდ.

ფასანაურის ეკლესიის მღვდელი ილია ლაშხი.

რუსეთი

როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, დიდძალი მუშა ხალხია თურმე ტაშკენტში ქარხნის პატრონებისაგან დათხოვნილი რამდენისამე დღით, შემდეგ-კი, როცა ქარხნის პატრონები საქმეს კარგად მოაწყობენ, ისევ მიღებულ იქმნებიან მუშანი. ასე დაჰპირებიან დათხოვნილთ ქარხნის პატრონები.

მგონი, საჭირო აღარ არის იმის თქმა, რომ მუშა ხალხი ნივთიერად მეტის მეტად დაქვეითებულია და დროებით უმუშაოდ დარჩენა ერთი ორად გააორკეცებს მათ გაჭირვებას. ამას დაუმატეთ ისიც, ვინ იცის, ქარხნის პატრონი ცოტა ხნის შემდეგ კიდევ დააბრუნებს დათხოვნილთ თუ არა. უმეტეს ნაწილად, მექარხნე ასე იქცევა: წავა და მონახავს ახლებს, რომლებიც მცირე სასყიდელს დასჯერდებიან.

— მკითხველთ ეხსომებათ, რომ ტიხორეცკაიას სადგურზედ დაიჭირეს ზოლოტარევის ქალი, რომელიც ციხეში გარდაიცვალა. ამ საქმის გამო დიდი ალიაქოთია ატეხილი მთელს რუსეთში. როგორც ვიცით, პასუხის გებაში მიცემული „პეტერ. ვედომოსტის“ რედაქტორი ამ საქმის შესახებ ცნობათა გამომჟღავნებისათვის, საქმის გამოსაძიებლად მესამედ დანიშნულია პეტერბურგის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბურცოვი. ახლა „პრიაზოვსკი კრაი“-ში დაბეჭდილია განცხადება ბურცოვისა, რომელიც აცხადებს, ვისაც რაიმე ცნობა გაქვთ ამ საქმის შესახებ, ან მოწამე ხართ ამ საქმისა, შემატყობინეთ ქ. ეკატერინოდარშიო.

უცხოეთი

გერმანია. გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა დიდხანს ეძება პოზნანის მთავარ-მმართველად დასანიშნავი კაცი. ნუ თუ მან მართლა ვერ ჰპოვა გერმანიაში კაცი, რომელსაც შესძლებოდა ამ თანამდებობის აღსრულება? საქმეც ის გახლავთ, რომ ამ თანამდებობის შესაფერი კაცი ბლომად იყო, მაგრამ თანამდებობას თვით არ კისრულობდნენ. პოზნანის მთავარ-მმართებლის თანამდებობაზედ უარი განაცხადა პოსადოვსკიმ, პოდბელსკიმ, მა ტეიფელმა და იანევმა. როგორც იყო, გამოსძებნეს ეს იშვიათი კაცი— აღმოსავლეთ-პრუსიის მთავარ-მმართველი, რომელიც, პოლონურ გაზეთების სიტყვით, დიდის ზიზღით უყურებს პროგრესისტებსა და სოციალისტებს; გაგიჟებით უყვარს, თურმე, რუსეთის ოფიცრები, რომლებთანაც დიდს ქეიფს ეწევა და დროს ატარებს. პრუსიის მთავრობა კათოლიკე-გერმანელსაც-კი ცუდის თვალით უყურებს და საბრალო პოლონელებს რის იმედი-ღა უნდა ჰქონდეთ? ახლად დანიშნულ მთავარ-მმართველისაგან რა ხეირს უნდა გამოელოდნენ? კიდევ მეტს უკმაყოფილებას იწვევს სახელოვანი საახალშენო კომისსიაც. ამ უკანასკნელ ხანებში გამოვიდა კომისსის 1902 წლის ანგარიში. ანგარიშიდანა სჩანს, რომ 1902 წელს კომისსიას შეუძენია 22,007 ჰექტ. მიწა, 19,094,531 მარკად ღირებული. აქედგან 4,910 ჰექტ. პოლონელთა საკუთრება ყოფილა. დაარსების დღიდან მოკიდებული, კომისსიას დღემდე შეუძენია 186,000 ჰექტ. მიწა, აქედან ახალშენელთათვის დაურიგებიათ 68%, დანარჩენი-კი სახელმწიფო მამულად ჩაურიცხავთ. პოზნანში კომისსიამ დაასახლა 5,627 სული ლიუტერანი, კათოლიკე—მხოლოდ 279; ამით კათოლიკენი თავიანთ თავს შეურაცხყოფილად ჰრაცხავენ. კომისსია არ ეხმარებოდა კათოლიკეთ, რადგან—როგორც ანგარიშშია მოხსენებული, — „ხალხოსნობის პირობებზედ გულიან პასუხს არ იძლეოდნენ“-ო. გაზეთობა ამ წინადადებას ასე ხსნის,—ვითომ: კათოლიკები დაიარებიან პოლონელთა ეკლესიებში და სრულიად პოლონელდებიანო.

მაროკკო. გაზ. „პარ. ნევ.“-ს ტანჟერიდან სწერენ: „სულთანი თვით ამხედრდა და წინ უძღვის ჯარსაო. სულთანის აზრით, ხალხი, რა იხილავს თავის მპყრობელს მხედრობის წინამძღოლად, მყისვე აღტაცებით მიეგებება და მხარს დაუჭერს; ეჭვს გარეშეა, რომ ის თემნიც, რომელნიც ეხლა გამდგარან, მორჩილებას გამოუცხადებენო.

ტანჟერიდან მოსულ ამბებიდან სჩანს, რომ მაძიებელს თანდათან ეცლება ნიადაგიო.

ოსმალეთი. გაზ. „Вечерн. Почт.“-ის სიტყვით, სოლუნში მყოფ საფრანგეთის კონსულ სტეგსა და სოლუნის ვალის, ფეიზი-ფაშას შეტაკება მოსვლიათ. ვალი კერძო საუბრის დროს ხშირად სძრახავდა თურმე „ყვითელ წიგნში“ დაბეჭდილ სოლუნის კონსულის სტეგის მიერ გაგზავნილ ცნობებს. მაგრამ სტეგს ეს არ აკმარეს: ოსმალურ ოფიციალურ გაზ. „Journ. de salonig.“-მა, რომელიც სალონიკში გამოდის, დაბეჭდა თავის ერთ-ერთ ნომერში წერილი მაკედონიის მდგომარეობის შესახებ. ავტორი წერილისა სძრახავდა საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობას, რომ დაჰბეჭდა „უსაფუძვლო, საოცნებო უსაბუთოდ შეთხზული ცნობა მაკედონიიდგან“. გარდა ამისა, ეს წერილი ცხადად ბრალს სდებს საფრანგეთის კონსულს,—იმან ოსმალთა დასამცირებლად გაუგზავნა თავისმ თავრობას ცრუ ცნობებიო.

სტეგი მალე მიჰხვდა, რომ ეს წერილი ვალის შთაგონებით იყო დაწერილი და მაშინვე მისწერა ბარათი, რომელშიაც თხოულობდა ოფიციალურ გაზეთის რედაქტორის სამაგალითო დასჯას და თვით ვალის მხრივ სახალხოდ განცხადებას, რომ მას ამ წერილის დაბეჭდვაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, და რომ წერილში მოხსენებული ბრალდება სრულიადაც არ ეხება მას—სტეგსა. რით დასრულდება ეს შეტაკება, ჯერ არ იციან, რადგან გაზეთებს არ შეუტყვიათ რა პასუხი მისცა კონსულ სტეგს ვალიმ.

ოსმალეთი. მაკედონიის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან თითქმის ყოველ დღე მოდის ხოლმე ოსმალეთის ჟანდარმერიისა და სამხედრო რაზმების მეამბოხეთა ბრბოების შეტაკების ამბავი.

— უნგრეთიდგან იუწყებიან,—ამ უკანასკნელ ხანებში დიდძალი ცხენი იყიდეს სერბიისა და ბულგარიისათვისაო. ცხენები საჩქაროდ გაჰგზავნეს ბელგრადსა და სოფიას.

ბოსტანი და ბოსტნეულობა.

საბოსტნე ადგილის დაყოფა.

საუბედუროდ, ჩემს ბოსტანზედ საუბარი პატივცემულ მკითხველებთან ერთობ გვიან დავიწყე, და ამიტომ ეხლა დროს უქონლობა და გაზეთის წერილის სიმცირე ნებას არ მაძლევს დაწვრილებით ვილაპარაკო იმაზედ, თუ, რა ნაირად უნდა დაიწყოს მუშაობა ბოსტანში შემოდგომას. აქ მხოლოდ ვიტყვი იმ სამუშაოზედ, რომელიც შესაძლებელია გაკეთდეს შემოდგომასა და გაზაფხულზედაც.

რადგანაც გაზაფხულიც მალე გაგვიდიმებს, გაფრთხილებ ბოსტნის მოყვარეთა, რომ ეხლა საჭიროა ჰქონდეთ მხოლოდ დამწვარი, დამპალი, ძველი ნეხვი (პატივი), რადგანაც ახალის პატივით მიწის მოხავება შეიძლება მხოლოდ შემოდგომაში, და ძველი-კი იხმარება უფრო გაზაფხულზედ. მაშასადამე, ბოსტნის ყველა ნაჭრებში, გარდა ერთისა, როგორც თოვლი დადნება და მიწა გაშრება, ეს ნეხვი რიგიანად უნდა იყოს მოწასთან შერეული. ამისთვის საბოსტნე ადგილი წინადვე უნდა იყვეს დაჭრილი იმდენ ნაჭრებად, რამდენი ჯგუფიც ბოსტნეულობაა.

ვთხოვ პატივცემულ მკითხველს, ეცადოს, თუ შესაძლებელია, საბოსტნე ადგილს სწორი, ოთხკუთხი ფორმა მისცეს, რომლის ერთი გვერდი აღმოსავლეთისაკენ იყოს, მეორე—დასავლეთისაკენ, მესამე—ჩრდილოეთისაკენ და მეოთხე—სამხრეთისაკენ.

საბოსტნე ადგილის დაჭრა ოთხ ნაკვეთად დაიწყეთ, ამ ნაირად: ა) დაასვით პალოები ოთხსავე კუთხეში და გაიყვანეთ მათ შორის ხაზები, ბ) თოხით, ან ბარით გაზომეთ სიგრძე პირველ კუთხიდგან მეორე კუთხემდე. ვსთქვათ, მაგალითად, სიგრძე ასი საჟენია.



გ) ამ სიგრძის ნახევარი, ე. ი. ორმოცდაათი საჟენი დაზომეთ პირველ კუთხიდგან. თუ სიგრძე ბაწრით იზომება, ამ შემთხვევაში ერთმანერთთან მიიტანეთ ბაწრის *) ის თავები, რომლებიც პირველ და მეორე კუთხესთან გვქავათ, და მეორე მომხმარემ გასწიოს ორივე ბაწარი, და პალო დაასვას იქ, სადაც ორივე ბაწრები გათავდება ხაზზედ პირველ კუთხიდგან მეორე კუთხემდე. ეს არის პრიველი პალო.

დ) დაზომეთ სიგრძე პირველ კუთხიდგან მეოთხე კუთხემდე. ვსთქვათ, სიგრძე გამოდგა ოთხმოცი საჟენი.

ე) ამის ნახევარი (ორმოცი საჟენი) დაზომეთ პირველ კუთხიდგან იმ ხაზზედ, რომელიც პირველ კუთხეს უერთებს მეოთხეს. აქ დაასვით პირველი პალო.

ვ) დაზომეთ მეორე კუთხიდგან მესამე კუთხემდე; სიგრძე გამოდგა ოთხმოცი საჟენი (განიმეორეთ იგივე მუშაობა, რაც იყო ნათქვამი, იხ. ბ და გ).

ზ) დაზომეთ მესამე კუთხიდგან მეოთხე კუთხამდე (განიმეორეთ იგივე მუშაობა, რაც მოხსენებულია, იხ. ბ და გ).

თ) გადადევით პირველ პალოებიდგან (სადაც შუა ადგილია დანიშნული კუთხეებშუა), თითო არშინი ნახევარი ზომა ერთის და მეორის მხრით ხაზებზედ და იქ დაასვით პალოები მეორე და მესამე, და პირველი პალოები-კი ამოიღეთ.

ი) ჩრდილოეთის მეორე პალოსა და სამხრეთის მეორე პალოს შუა გაჭიმეთ ბაწარი; თოხით, ან ბარის პირით დანიშნეთ ხაზი, ერთი, ან ორი ვერშოკი მიწა ამოიღეთ; ამ ხაზზედ მეორე პალოებიდგან თითო არშინ-ნახევარი გადაზომეთ და იქ პალოები დაასვით; ბაწარი გადაიტანეთ ჩრდილოეთის და სამხრეთის პალოებთან, გაჭიმეთ, დანიშნეთ ხაზით, თითო არშინ ნახევარი გადაზომეთ ორივე პალოებიდგან და იქ პალოები დაასვით. შემდეგ ბაწარი აიღეთ და მეორე და მესამე პალოები ჩრდილოეთ და სამხრეთ ხაზებიდგან ამოიღეთ.

კ) აღმოსავლეთის და დასავლეთის მეორე პალოებშუა გაჭიმეთ ბაწარი, დახაზეთ, თითო არშინ-ნახევარი ზომა გადადევით ხაზზედ პალოებიდგან და პალოები დაასვით. ბაწარი გადიტანეთ მესამე პალოებზედ და იგივე გააკეთეთ, რაც ზევითა ვსთქვით (იხ. ი). ამნაირად აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთისაკენ გვექნება ეხლა ორ-ორი პალო. პალოები სწორედ უნდა იყოს დასობილი.

ლ) ერთმა დაიკავოს სწორი პალო და ბაწრის ერთი თავი და დადგეს დასავლეთის ხაზზედ, პირველ კუთხესთან ახლო, ჩრდილოეთისაკენ ორ პალოების პირდაპირ, ხოლო მეორე პალოთი და ბაწრის მეორე თავით დადგეს აღმოსავლეთის ხაზზედ, მეორე კუთხესთან ახლო, ისე, რომ ჩრდილოეთისაკენ ორ პალოების პირდაპირ იყოს.

მ) პირველი ისე უნდა დადგეს ხაზზე პალოების პირდაპირ, რომ მარტო ერთი პალოს უყურებდეს, ამ პალომ მეორე უნდა დაფაროს, ხოლო ამ პირველის ძახილით მეორემ მისი პალო ისე უნდა დაასოს მიწაზედ, რომ ის შეიქნეს პირდაპირ წინათ დასმულ პალოებისა. ეს მაშინ იქნება, როდესაც პირველი ხედავს მხოლოდ ერთ პალოს და დანარჩენი-კი ამ პალოთი დაფარული იქნება.

ნ) მეორის ძახილით პირველმა მისი პალო უნდა დაასოს მიწაზე მის ხაზზე სამ პალოს პირდაპირ ახალ დასმულ პალოებშუა უნდა გაჭიმონ ბაწარი. ამ პალოებიდგან ახალი ხაზი უნდა დანიშნონ, და იქიდგანვე თითო არშინ ნახევარი უნდა დაზომონ, იქ პალოები დაასონ და დანარჩენი პალოები ყველა აიღონ. ეხლა აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთისაკენ იქნება სამ სამი პალო.

რ) ერთი იდგეს იმ პალოსთან, რომელიც პირველ კუთხესთან ახლო არის, ისე, რომ მის შეხედვით სამივე პალო ერთ ხაზზე იქნეს დასობილი—მასთან ახლო დასობილ პალომ უნდა დაფაროს დანარჩენი. მეორე უნდა დადგეს მეოთხე კუთხესთან, სამხრეთ ხაზზე დაშორებული ერთ არშინ ნახევარი და დაასვას პალო სამ პალოს პირდაპირ. შემდეგ პირველი მივიდეს მეოთხე კუთხესთან, ახალ დასობილ პალოსთან, მეორე გადავიდეს მესამე კუთხესთან და დაშორებით, ერთ არშინ ნახევარზე, აღმოსავლეთის ხაზიდგან დასვას პალო ისე, რომ ის ერთ ხაზზე იქნეს სამხრეთისაკენ დასობილ პალოებიდგან. ამ ნაირად გვექნება ოთხი პალო, რომელიც უნდა შეაერთონ ხაზებით. ამ ნაირ მუშაობით აი, რას მივიღებთ (იხილე სურათი—პლანი ბოსტნისა): 1) ორს დიდ გზას—აღმოსავლეთიდგან დასავლეთისკენ და ჩრდილოეთიდგან სამხრეთისაკენ. განი გზების სამი არშინია. აქ ადვილად გაივლის ურემი. 2) ოთხ ნაჭერ მიწას; თითოეული მათგანი დანიშნულია თითო ჯგუფ ბოსტნეულობისათვის. 3) შემოსავლელ გზას, განით არშინ ნახევარს.

როდესაც ხაზებით გზის პირები დანიშნულია, ამ გზების პირებზედ თოხით ან ბარით ამოიღეთ ხუთი-ექვსი გოჯის სიღრმე თხრილი, იმოდენიმე სიგანე და ამონაღები მიწა დაჰყარეთ გზების შუაგულზე სიგრძით, დაფხვენით და ისე გაასწორეთ ამ დიდ და პატარა გზებზედ, რომ მათი შუა ადგილი ცოტა მაღლობი დარჩეს; ნაწვიმარზე კარგად დატკეპნეთ და გექნებათ კარგი გზები, რომელზედაც წყალი არ დადგება, არამედ ჩავა თხრილებში, და აქედგან გასასვლელ ღარით შეიძლება წყალი გაიყვანოთ გარეთ.

ბოსტნის პირველი ნაჭერი უნდა მოახმაროთ იმ მცენარეებს, რომელიც თხოულობს ბევრს პატივს, და რომლის ზედა ნაწილს ვხმარობთ საჭმელად (ამ ჯგუფს ეძახიან „ფურცლებიანს“), მეორე ნაჭერი უნდა დაინიშნოს იმ ჯგუფისთვის, რომელსაც ნაკლები პატივი უნდა, რომლის ქვედა ნაწილებს ვხმარობთ საჭმელად (ნაყოფთ ძირფესვი) მესამე ნაჭერი მოანდომეთ პარკებიან მცენარეებს, მეოთხე-კი—მრავალ წლოვან მცენარეებს სტაცურს, მარწყვს, კარტოფილს და სხვ.

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება)

*) ბოსტანში სახმარებლად ბაწარი უთუოდ უნდა გქონდეთ. მისი შეძენა არც ისე ძვირია—წვრილი ბაწარი (შპაგატი) ძალიან იაფია და ადვილი მოსახმარებელიც არის.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

„ორი დარაჯი“ მელოდრამა 3 მოქმედებად იტალიურიდან თარგ. ფ. ქორიძის-მიერ და „თავის ბრალია“.

საზოგადოებამ თითქოს წინადვე იგრძნო, ხუთშაბათს ქართულს თეატრში ბევრს არასა ვნახავო და აღარ მოვიდა. წარმოდგენას დაესწრო ოთხი რეცენზენტი და ამდენივე გარეშენი. გვეგონა, უკუღმართმა სეზონმა გაიარა და დადგა განახლებისა და სწორე გზაზედ დგომის დრო, მაგრამ მოვსტყუვდით.

პირველად წარმოდგენილი პიესა „ორი დარაჯი“, როგორც სარწმუნოდ გვითხრეს, ფ. ქორიძეს გადმოუთარგმნია ოცის წლის წინად და ქართულის თეატრის გამგეობისათვის გადაუცია სცენაზედ დასადგმელად, მაგრამ გამგეობას შეუნახავს აქამდე. პიესაში გამო- ყვანილია ორი დარაჯი, რომელთაც კანონ- დაარღვიეს და ამიტომ ერთ ერთი მათგან- უნდა ჩამოეხრჩოთ. ჩამოხრჩობა მიესაჯა და- რაჯს —გულიელმოს (სვიმონიძე), ხოლო მეო- რე დარაჯი—რობერტი (შათირიშვილი) გან- თავისუფლებულ იქმნა. მეორე დღეს განაჩე- ნის დადგენიდან გულიელმო უნდა ჩამოახრ- ჩონ, მას მოაგონდება თავისი ცოლ-შვილი, რომელიც ერთ-ერთ კუნძულზედ ჰყავს მი- ტოვებული. რობერტი ეუბნება გულიელმოს: შენ წადი, ძმაო, კუნძულზედ და ხვალ დაბ- რუნდიო, ხოლო შენ მოსვლამდე აქ მე ვიქ- ნები თავმდებათაო. ამაზედ თანხმდება რო- გორც გულიელმო, აგრეთვე ადიუტანტი (იმედაშვილი), რომელმა განაჩენი სისრულ- ში უნდა მოიყვანოს და რომელსაც ძალიან უნდა რობერტის დასჯა, რადგან მან რამდენ- ჯერმე შეარცხვინა თავისი ვაჟკაცობით. გუ- ლიელმო კუნძულზედ მიდის; თუ დილით ად- რე, 6 საათამდე დაბრუნდა, ჩამოახრჩობენ, თუ არა და მაშინ რობერტს დასჯიან. გუ- ლიელმოს გადაწყვეტილი აქვს უთუოდ დაბ- რუნდეს და სასჯელიც მოიხადოს. მართლაც გულიელმო კუნძულიდგან ბრუნდება იმ დრო- როდესაც 6 საათი კიდეც სრულდება. მისთ- ვის გემს გამოუსწვრია, მაგრამ მაინც შეცუ- ოებულა ზღვაში და ოცდა ხუთი ვერსი გა- მოუვლია ცურვით! ბოლოს მასაც და რო- ბერტსაც ეპატიება სასჯელი.

პიესაში გამოყვანილია კიდევ სხვა პირებიც, მაგრამ ეს ორი უმთავრესნი არიან. ამ პიესი- დადგმას, იქნება, ოცის წლის წინად აზრ- ჰქონოდა, მით უფრო, რომ სასცენო პიესა- მაგრამ ახლა-კი... რა მოგახსენოთ...

მსახიობთა თამაშობა სუსტი იყო ამ სად- მოს. როლი თითქმის არც ერთმა არ იცოდ- და ხშირად ჩერდებოდნენ და მაყურებლ- (მაგრამ მაყურებელი ბევრი არავინ იყო) შთა- ბეჭდილებას აფუჭებდნენ. —ყველას ისევ ბ. სვიმონაძე და შათირიშვილი სჯობდნენ. პირველი წარმოდგენა იყო და ამიტომ სიტყ- ვას მოვჭრით აქ.

დასასრულ წარმოადგინეს „თავის ბრა- ლია“. ვ. გუნიამ და ო. ლეჟავამ, რამდენ- დაც შესაძლებელი იყო, სიცოცხლე შეიტ- ნეს თავიანთ თამაშობაში და დამსწრე საზო- გადოება ბევრი აცინეს.

ა—ნა.

ნარკვევი

გაზ. „Черноморскій Вѣстникъ“-მა კ- ლავ გამოილაშქრა ქართველების წინააღ- მდეგ. *)

როგორც მკითხველმა უწყის, დედა-აზრი გაზეთისა ის არის, რომ კავკასიის მკვიდრთ- შესახებ ათასი ჭორი შესთხზას, მუდამ აუ- ილაპარაკოს, შეაძულოს იგინი რუსთა საზო- გადოებას საზიზღარ ცილის-წამებით შეზავე- ბულის დაბეზღებით. რომ თავისი სურვილ- შეისრულოს, ეს გაზეთი არავითარ საშუალე- ბას არ ერიდება, რადგან კავკასიელთა შესა- ხებ ყველაფრის თქმა შესაძლებლად მიაჩნი- ჩვენი ქვეყანა უნდა გახდოს გრდემლად, რო- ჩაქუჩივით უწყალოდ თავში სცემოს. რასა- კვირველია, ბოლოს-და-ბოლოს იგი თვი- შეიქნება გრდემლად, მისი წადილი მხოლო- მის მურიან გულის შავს ძირში დარჩება და- ბნელებული და ვერასოდეს სინათლეს ვე- ეღირსება, რადგან 1) ძალა არ შესწევს ქ- დილსა და 2) იმიტომ, რომ სიმართლე და ჭეშმარიტება მისკენ არ არის.

დასამტკიცებლად ჩვენის სიტყვებისა საკმა- წაიკითხოთ ნიმუშად ერთი წერილი, ხსენებულ- №-ში მოთავსებული, რომელიც ღირს-სიტყვა- სიტყვით გადავთარგმნოთ, რომ მკითხველ- ნათლად დაეხატოს თვალ-წინ ზნეობრივი სახე „Черноморскій Вѣстникъ“-ისა, აი ეს წე- რილი:

„კავკასიის სამკურნალო საზოგადოებაში ენტუზიასტებს სიხარულისაგან პირში ნერწყვ- მოუვიდათ, როდესაც ცოტა იმედი მიეცათ შეიძლება ერთბას ვეღირსოთო. მაგრამ ერთმ- რუსის ექიმმა, კავკასიის სამოქალაქო უწყები- საექიმო ნაწილის მმართველმა, ცივი წყალ- გადაასხა მათ თავზე და დაუმტკიცა, რომ რაც შიდა რუსეთში კარგია, ის ჩვენს განაპირ- ქვეყანაში ავია და საზარალო, და ჩვენ, განსა- კუთრებულ ადგილობრივ გარემოებათა გამო- ერთბა სრულიადაც ვერ გვშველისო. ეს სა- მათ იყო, რომ ცრუ-პროგრესსისტებს თმა ყა- ლხზე დასდგომოდათ ერთი მომავალი მო- გაწე ერთბისა, ერთის წლის ბრიყვი ბავშვივით თავის საფედლერონ ლაუბობის ბოლოში გვე- კითხება: როდესაც ეს „რეფორმები“ რუსეთ- ში შემოდიოდა, ხომ იქც სუფევდა მაშინ „ადგილობრივი“ განსაკუთრებული გარემო- ბათ“?

*) იხ. „ივერია“ № 45. 26 თებერვალს.

გულ-უბრყვილობას მივაწეროთ, პირ-მოთნეობას, თუ გაუგებრობას.

რუსეთში სულ სხვა გვარად არის საქმე. იქ არ არიან მეპოლიტიკოსე საერო პროგრესისტ-სეპარატისტები, რომელნიც თუთიყუშებივით სულ იმას გაიძახიან, რომ ყოველიეე არა-რუსული იბაგრებაო. ერობა, არა თუ ხელს შეუწყობს ერთობას კავკასიელთა და რუსთ შორის, არამედ, პირიქით, უფრო ხელს შეუშლის ამ ერთობას და სრულიად განაქარწყლებს რუსთა გავლენას აქაურ ცხოვრებაზედ. ერობა ხელში ჩაუვარდებათ სეპარატისტებს, რომელთაც ახლა მხოლოდ იმიტომ ვგუობთ და ვითმენთ, რომ უძლურნი არიან და ლაყბობის მეტი არა შეუძლიანთ-რა. ჯერ რუსული ლაპარაკი და, უმთავრესად რუსულად ფიქრი ისწავლონ და გულწრფელად ნუ აღიარებენ თავს ამ ქვეყნის განკერძოებულ პატრონებად და მაშინ მოგვთხოვონ ერობაც, ნაფიცთა სამსჯავროც და საზოგადოდ თვითმოქმედობის გაფართოებაც.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ვიცნობთ ამიერ კავკასიას და ვსწავლობთ მისს სოციალურსა და ეკონომიურ ვითარებას. და აი, ამ ოცდა-ხუთის წლის გამოცდილების საფუძვლით თამამად ვამბობთ: ერობა ჩვენს განაპირა ქვეყანაში საშიშარი სათამაშო იქმნება ბალდ-კულტურტრეგერების ხელში. ერთი ფინლიანდიაც კმარა რუსეთისათვის, რომ მეორეც აღარ გავიჩინოთ კიდევ ამიერ კავკასიაში".

ჩვენ მეტად მიგვაჩნია დავუმტკიცოთ „Черноморскій Вѣстникъ"-ს, რომ კარგისაგან ავი არასოდეს არ წარმოსდგება და, მაშასადამე, თვითმმართველობა ერობას ხელს-კი არ შეუშლის, არამედ განამტკიცებს და განაძლიერებს. მეტად მიგვაჩნია აგრეთვე ლაპარაკი სეპარატიზმის შესახებ, რომელიც ხსენებულ გაზეთის ოცნების ნაყოფია მხოლოდ. ჩვენ მარტო ის გვაკვირებს, როგორ ეტევა ავტორის გულში იმდენი ჭორი, ცილის-წამება და მძულვარება, ერთად შეზავებული?! მაგრამ რას იზამ? ავი კაცი აღდგომასაც ავიაო!

ნარევი და ნაკვესი

ლონდონში არის ორიგინალური მილიონერი—ტრევერსი, რომელსაც მეტის მეტად ებრალება ისინი, ვისაც ფეხებზედ ბუერები აქვს. ტრევერსი ამ სენით შეპყრობილთ შემწეობას უწევს ყოველთვის. ეს მილიონერი მთელი დღე-დილიდგან სადამომდე—დაიარება ქუჩებში, ყველას ფეხებზედ უცქერის, როგორ დადისთ. თუ შეატყო, ამ კაცს ბუერა აქვს ფეხზედ და ცოტათი მოიკოჭლებს კიდეც, მილიონერი მიდის მასთან და გამოჰკითხავს, მართლა აქვს ბუერა თუ არა. თუ მგზავრს ბუერა აღმოაჩნდა, ტრევერსს საჩქაროდ ექიმთან მიჰყავს და თავის ხარჯით ოპერაციას აკეთებინებს. ტრევერსი თურმე დიდის ცნობის მოყვარეობით უცქერის ოპერაციის გაკეთებას და შემდეგ კმაყოფილი სახლში ბრუნდება.

ამ მილიონერს, როგორც ამბობენ, წინად თვითონ ჰქონია ბუერა და ძლივს, დიდის ტანჯვა-წვალების შემდეგ, მორჩენილა.

—

აი კიდევ უცნაური ამბავი, რომელიც მოხდარა ამ დღეებში ნიუ-იორკში. ლაპარაკის საგნად ამ ჟამად ნიუ-იორკში გამხდარა ერთი ქორწილი, ანუ ის ათასგვარი ცოცხალი გველები და გველის ტყავები, რომლებიც მეფე დედოფლის მორთულობას შეადგენდნენ. ჯვარი დაიწერა ნიუ-იორკის ზოოლიგიურ ბაღის მეთვალყურემ—დიტტმარმა, რომელიც დიდი მოყვარულია გველებისა. ყვავილების თაიგულებში ქორწინების დროს ჩართული იყო ათასნაირ გველის ტყავები. ყველაზედ გასაკვირველი იყო ის, რომ დედოფალს კლარა გურდს ყელზედ შემოხვეული ჰქონდა შვიდის ფუტის-სიგრძე ცოცხალი გველი. სახლში ამ ახალს ჯვარ დაწერილებს იმდენი გველები ჰყავთ თურმე, რომ გველების გამოფენა გეგონებათ.

წერილები
რედაქციის მიმართ.

I

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ მოგვცეთ საშუალება, უკანასკნელად მივცეთ ბ-ნ ქიზიყელს პასუხი.

ჩვენ გვეგონა ბ-ნს ქიზიყელს ექნებოდა ან იმდენი სიგმირე, რომ თამამად დაესახელებინა ის „ახალგაზდა ექიმი", რომელიც მას, ე. ი. ქიზიყელსვე „პრიგოვორს„ უდგენდა გადასასახლებლად, ან და მასში გაიღვიძებდა სიმართლის ხმა და სირცხვილით აღიარებდა, რომ ეს მისი „მოჩვენება, ჭორი და ავადმყოფი ტვინის" ფანტაზია იყო. ქიზიყელმა არც ერთი არ იკადრა. მან არ დასახელა ეს სამარცხვინო ბოძზედ გასაკრავი სახელი და არც იჩუმა. არა, ის მიკიბულ-მოკიბულ ფრაზებით აპირებს ფონს გავიდეს, ის ამბობს „მე ვერ დავასახელებ მას იმ დრომდე, ვიდრე თვითონ არ გამოჩღებიანო". ნუ თუ იმდენათ „უსუსური ბავშვია" ბ-ნი ქიზიყელი, რომ კეკემალულობას ეთამაშება იმისთანა საზიზღარ პირებს? ნუ თუ ეს იმას არა ნიშნავს, რომ მას ძვალი გეეხირა ხახაში, როცა მტყუანს სიმართლის კარამდე მიჰყვნენ.

პრესის დანიშნულებაც ქიზიყელს „მალულობია" ჰგონია: „პრესა ამისთანა პირებს ჩუმად ებრძოლებაო" ბრძანებს ის და ვითომ ამაზედაც „ძველთაგან და ბრძენთაგან" კვერიც იყვეს დაკრული?!—არა, პრესას თქვენსავით ხან ერთი და ხან მეორე უჩინმაჩინის ქუდი არა ხურავს. არა, ის საზოგადო საქმეთა მომოჭირისუფლეა, დასაგმობს საქვეყნოთ გმობს და აქებს საქვეყნოთ საქებელს; აი, „ძველთაგან და ბრძენთაგან" რა გახლავთ ნათქვამი:

„მტყუანს გულ-და-გულ დავხდებით,
მტლათ დავედებით მართალსა".

ის თქვენი საკუთარი პრესა-კი რაღაც თქვენებური ყოფილა: ჩუმი, ქვემძრომი, მოშლილი წისქვილი და სიმართლის დამფარავი.

ბოლოს ჩვენა გთხოვთ, ან გულახდილათ გამოსთქვათ, თუ-კი გაქვთ რამე სათქმელი, ან არა და ნულა მიჰკიბ-მოჰკიბავთ თქვენებურათ, ამ შემთხვევაში ვეღარ დავკარგავთ დროს თქვენთან საამიყოთ და სალაღობოთ.

ქვემო ქიზიყის ექიმი.

II

ამ წლის „ივერიის" მე-41 ნომერში 14 თებერვალს გამართული ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში სამუსიკო-სალიტერატურო სადამო ცუდად იყო მოხსენებული უცნობის ავტორის მიერ. ავტორის აზრით, ამ სადამოზედ წაკითხული ლექსები რუსულს და ქართულს ენებზედ საზოგადოდ უშინაარსო, უშნო და უღაზათონი იყვნენ. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ხელმძღვანელებს რუსულის და ქართულის განყოფილებისას, როდესაც მოწაფეებს ამ სადამოზედ წასაკითხად ლექსებს უნიშნავდნენ, სახეში ჰქონდათ ისეთის შინაარსის ნაწარმოებნი, რომელნიც ახალთაობის გულში აღზრდის, რამდენადაც ეს შესაძლოა, კეთილშობილურს გრძნობებს მაღალი ქრისტიანობრივის ზნეობისას. ამ აზრს არ ეწინააღმდეგებოდა არც ერთი რუსული და ქართული ლექსი, ამ სადამოზე წაკითხული... ამის დასამტკიცებლად დავასახელებთ თუნდ ქართულს ლექსებს, სადამოზე წაკითხულს მოწაფე ქალთაგან: აკაკის ისტორიული პოემა: „ანდრია პირველ წოდებული" და მისივე „შედარება",—„თამარ მეფის გულ-კეთილობა" ჩ—სა, „ობოლი ქალის ტირილი", გრიგოლ აბაშიძის ლექსები: „ნეტავ მას, ვისაც ქრისტეს მოძღვრება", „წყარო" და სხ.. უფრო ერთი ამ ლექსებისა ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ იცის და ამის გამო და, მან თვით განსაჯოს, მართალს ამბობს, თუ ტყუილს შენიშვნის ავტორი, როდესაც მათ საერთოდ უშინაარსო, უშნო და უღაზათო ლექსებს უწოდებს... ჩვენ ჩვენის მხრით დავსძენთ, რომ ამ ლექსებში ვერ ნახავთ ისეთს რასმეს, რაც ზნეობას შეურაცხჰყოფს და კეთილშობილურის გრძნობების აღზრდას ხელს არ შეუწყობს. რაც შეეხება წაკითხვას,—უნდა ვსთქვათ, რომ არც ამ ხელოვნებას ჰქონდა რაიმე დიდი ნაკლულევანება და, თუ ზოგიერთი მოწაფეები, და ისიც იშვიათად, ბორძიკობდნენ წაკითხვაში,—ეს იმის ბრალია; რომ საჯაროდ ლექსის წასაკითხად გამოსვლის დროს ცოტათი შეკრთნენ და ამის გამო სასურველად ვერ წაიკითხეს, უფრო ერთი მოწაფეებისა-კი ლექსებს კარგად ჰკითხულობდა, და ზოგს მათგანს კითხვაში საკმაო დახელოვნებაც-კი ეტყობოდა.

რაც შეეხება სადამოს სიმღერა-გალობას, ის, ამ საგნის მცოდნეთა აზრით, კაკიცხვის ღირსი არ იყო და მოწაფეთა გუნდს მისი კარგად ცოდნა ეტყობოდა...

ჩვენ შინაურ სამუსიკო-სალიტერატურო სადამოებს სასულიერო უწყების სასწავლებლებში დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ. ამის გამო დიდი მადლობის ღირსია ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის მთავრობა, რომ თავის მოწაფეებს სადამოების გამართვის ნებას აძლევს.

უნაკლულო ქვეყნად არა არის-რა. არც ამ წლის 14 თებერვლის სადამო იყო უნაკლულო. მაგრამ, ნუ-თუ შესაძლოა, რომ რომელიმე ახლად დაწყებული საქმე ერთბაშად უნაკლულო იყოს?! ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელი ყოველის თანაგრძნობის ღირსია ჩვენის სამშობლოს სწავლა-განათლების და წარმატების მოტრფიალეთათვის. მასში დღეს ორას ოცზედ მეტი ქართველი ქალი სწავლობს, რომელნიც ცნობილნი არიან თვისის ბეჯითობით და შრომის მოყვარეობით. ამ სასწავლებელმა აღზარდა მრავალი დედა, დიასახლისი და მასწავლებელი, რომელნიც ჩვენის სამშობლოს ყოველს კუთხეში არიან გაბნეულნი და, შეძლებისდა გვარად, პირ-ნათლად ასრულებენ თავისს დანიშნულებას. დღესაც ამ სასწავლებლის ბეჯითს და სწავლა განათლების მოყვარე მოწაფე ქალებს მაინც და მაინც არაფრით დაუმსახურებიათ ის უსაბუთო საყვედური, რომელიც უძღვნა მათ ზემოდ დასახელებულის შენიშვნის უცნობმა ავტორმა.

ი. ფ—ძე.

„ივერიის" ფოსტა:

ქუთაისი. მოგზაური. თქვენი წერილი გაზეთების მომპარავთა შესახებ არ იბეჭდება. ებგურს მიჰმართეთ, თუ მართალია, რასაც იწერებით.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

27 თებერვალი.

კოპენჰაგენი. მუშაობა ძეგლის დადგმისათვის იმპერატორის ალექსანდრე მესამეს სახელზედ დაიწყო იმით, რომ ფრედენსბურგის ციხე-სიმაგრის პარკში ჩაიყარა საძირკველი. ძეგლის კურთხევა იქნება 27 მარტს,85 წლის შესრულების დღეს მეფის ქრისტიანისა.

მადრიდი. დეპეშების სიტყვით, მაროკოში ბრძოლა არ შემწყდარა. გამარჯვება ხან ერთს მხარესა რჩება, ხან მეორესა. სამხედრო ძალა სულთანისა გაძლიერდა, თუმცა ქაბილებთა ერთი ნაწილი ტახტის მაძიებლის მხარეს გადავიდა.

ნიუ-იორკი. ვილემსტადტიდან მოსულ დეპეშის სიტყვით, ვენესუელის მთავრობის ჯარს, კაროს მახლობლად, ძლიერი ბრძოლა მოჰხდენია მეამბოხეებთან. რით დასრულდა ეს ბრძოლა არავინ იცის. სარევოლიუციო დასი ირწმუნება: მთელი აღმოსავლეთის ნავთსაყუდლები, ორინოკოს შესართავიდან მოკიდებული რიოხინკომდის, ჩვენს ხელშიაო.

ლონდონი. ქვედა პალატაში გორდონმა მხარი დაუჭირა გინსტის მოთხოვნილებას,—ჯარის შემცირების შესახებ და ამბობს, რომ ინდოეთის დასაცველად, მისის აზრით, უნდა გამაგრდეს მარჯვე საომარი ადგილები. ბოულოსი ამბობს, რომ ბალფურის განცხადების შემდეგ, კრანბორნმა გამოაცხადა: ინგლისსა და რუსეთს შორის მოლაპარაკება იყო ავღანისტანსა და სპარსეთში სადაო საქმეთა გამო შესათანხმებლად. აი, ნამდვილად რა არის გადასაწყვეტი. თუ ეს შეთანხმება მოჰხდა, მაშინ ინდოეთის დაკარგვის შიშიც მოისპობაო.

ვენა. დეპუტატთა პალატა. დალმაციელ სლავიან დეპუტატთა საჩივრის შესახებ კერბერი იმეორებს, რომ რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი შეთანხმებით იცავენ ბალკანეთის ნახევარ-კუნძულის მშვიდობიანობასაო; ამით გამოიხატება ყოველივე და ამავე მდგომარეობს საზოგადო ინტერესი. ორ დიდ სახელმწიფოს შეთანხმება ბალკანეთის კუნძულზედ წეს-რიგის აღსადგენად და status quo-ს დასაცავად დიდის კმაყოფილებით მიიღო მთელმა ევროპამ, ამას განმარტება აღარ ესაჭიროება. დალმაციელ სლავიანთა დეპუტატები თავის სამშობლოს ასაღორძინებლად უნდა იღვწოდნენ და მთავრობაც ყოველთვის მათი შემწე იქნება.

პარიჟი. დეპუტატთა პალატა. სოციალისტი სემბა აცხადებს სურვილს, რომ დელკასემ ხელი შეუწყოს ჰააგის სამედიატორო სასამართლოს მნიშვნელობის გაძლიერებას. საფრანგეთმა ხელშეკრულობა უნდა დასდოს ინგლისსა, იტალიასა და ისპანიასთან, რათა მომავალში ეს სახელმწიფონი ვალდებულნი გახდნენ ყოველივე ურთიერთ შორის აღძრული სადაო საქმე ჰააგის სამედიატორო სასამართლოს გადასცენ ხოლმეო.

ბერლინი. ვარდიდგან იუწყებიან, დანევმა განაცხადა, სამინისტრო კრიზისი არ არსებობსო. კაბინეტი სცდილობს პაპრიკოვის გადაყენებას კი არა, არამედ ითხოვს იმას, რომ აფიცერთ ნება არ მიეცეთ, თვისი თანაგრძნობა აღიარონ მაკედონიისადმი, რათა არ მიეცეს არავის საბაბი, ეჭვი შეიტანოს მთავრობის გულწრფელობაში. სამხედრო სამზადისისათვის შედგომა სასურველია, დროებით გადაიდოსო.

ლონდონი. ნიუ-იორკიდან იუწყებიან, გუშინ სახელმწიფო დეპარტამენტში, ამერიკის რესპუბლიკათა სადიპლომატო თანადასწრებით, სენატორად ნამყოფმა დევისმა წაიკითხა თავის მოხსენება შესახებ რკინის გზის ლიანდაგისა, რომლითაც, ჰფიქრობენ, შეაერთონ ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები სამხრეთ-ამერიკის ხმელეთთან. ლიანდაგი დაწყებულ უნდა იქმნას მექსიკის რკინის გზის შტოდგან სამხრეთის მხრივ გზამ; უნდა გაიაროს შუაგული ამერიკა, გასჭრას ბილიკი და მიუხვიოს არგენტინში.

ლისაბონი. ინგლისის მეფე მოვა აქ 21 მარტს ოთხის თვით.

მოსკოვი. სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტმა ჯერ-ჯერობით გადასდო ფულის სისტემის განხილვა, რადგან ეს საგანი რთულიაო და გამოსთქვა სურვილი, რომ სახელმწიფოს თავისუფალი ფული მოჰხმარდეს სასოფლო სამეურნეო საჭიროებათა გაუმჯობესობას; გაადვილდეს და გაიაფდეს საადგილ-მამულო საქმეთა გამო დავა, გაფართოვდეს სასოფლო და საერობო სასამართლოები, დაკარგულ მფლობელობის დასაბრუნებელ საჩივრის ვადა გაგრძელებულ იქმნას, ცხენის ქურდობის მოსასპობად შემოღებულ იქმნას საცხენო პასპორტი და მწყემსების თავდებობა და ბაღებსა და ბოსტნეულობის ქურდების სასჯელი უფრო სასტიკი იყოსო.

პარიჟი. დეპუტატთა პალატა. იარაღის დაყრის შესახებ დელკასემ განაცხადა: საფრანგეთის საქმე არ არის—იკისროს თაოსნობა ამისთანა საქმეშიო; სხვა რო არა იყოს-რა, თვით მე თავის დღეში ვერ ვიკისრებ მაგასაო. მე დიდის აღტაცებით მივეგებები იმასაც, თუ ჰააგის საერთა შორისო სასამართლოს მოქმედება გავრცელდება და გაძლიერდება; მაგრამ დიდს ერს შეუძლიან თავისი ინტერესები დაიცვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯარი ჰყავს ძლიერი.

მაკედონიის შესახებ დელკასემ განაცხადა: „დიდიხანია, რაც საფრანგეთი სცდილობს აიძულოს ოსმალეთი და რეფორმები განახორციელებინოს. ევროპაში თანასწორობის დასაცველად საფრანგეთმა უნდა მისდიოს ისევ იმ საპოლიტიკო გზას, რომლითაც მან უკანასკნელ დროს იარა.

ამ წინდახედულ პოლიტიკის წყალობით მოხდა, რომ რუსეთს დავუკავშირდითო. რიბო აცხადებს,—საფრანგეთ-რუსეთის კავშირი დიდად საიმედო და მკვიდრი საფუძველია საფრანგეთის პოლიტიკისაო. ორატორსა ჰსურს გულითადი დამოკიდებულობა ინგლისთან და თანახმაა, რომ ამგვარივე დამოკიდებულობა ჩამოვარდეს გერმანიასთანაც. თუმცა საფრანგეთის იმედებს არ უარ-ჰყოფს. მოსწონს ის მდგომარეობა, რომელიც დელკასემ დაიჭირა მაკედონიის საქმეებში. კამათის დასრულების შემდეგ, ერთხმად გადასწყდა, მორიგ საქმეებს შევუდგეთო, რაიცა მთავრობის განმარტებათა მოწონებას მოასწავებდა.

28 თებერვალი

ბერლინი. „Nor. Zeitung" აღნიშნავს რა იმპერატორ ნიკოლოოზის მანიფესტს ამბობს, ეს მანიფესტი ხელ-ახლად ნათლად გვიმტკიცებს რა მაღალი შეხედულებისაა მეფე თავის ხალხის კეთილ-დღეობის შესახებ თავის მოვალეობაზედო. მეფე იმპერატორის გუმანიური მეფობა ნათლად გამოიხატება სხვა ტომთა სარწმუნოების შეგუებაში, ამასთან გაზეთი დასძენს რომ გერმანიაში დიდის გულწრფელობით და სიმპატიით ადევნებენ თვალყურს ამ დიდ სამშვიდობო საქმის აღფრთოვანებას და განკარგებასო.

სტამბოლი. როგორც ოსმალთა ცნობებიდგან სჩანს, 800 პოლიტიკურ დამნაშავეთ ცნობილ ბოლგარელთაგან, 600 უკვე განთავისუფლეს საპყრობილედგან. ესენი უნდა მცირე აზიაში გაეგზავნათ. სერბიაში გაგზავნილ კომისიას დავალებული აქვს იმ ემიგრატებს რომელნიც ბულგარეთიდგან დაბრუნდებიან, პირველი დახმარება აღმოუჩინოს.

ირკუტსკი. აქ მოვიდა კუნძულ ახალ ციმბირიდგან ზოოლოგი ბელინეცკი—ბირული, რომელიც ბარონ ტოლის ექსპედიციაში იღებდა მონაწილეობას.

პეტერბურგის ბირჟა, 25 თებერვალს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	45,97½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98⅛ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101⅛ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95 მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	454 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356¼ გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	304 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	394 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	197 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 სადამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 სადამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 სადამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 სადამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—სადამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 სადამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) სად. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— სადამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და სადამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

15 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1) ხაიმაშვილების დავა.
2) დავა ი. ღულაძისა და კ. ეგიაზაროვისა.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.
ქაჯანა
მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.
ალი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

ახალი გამოცემანი
წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა**, თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი**, ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პორტრეტით და ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი**, მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა.

Дозволено цензурою. Тифлисъ. 28 февраля 1903 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.